საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კავკასიური ჯოჯო

კავკასიური ჯოჯო

კავკასიური ჯოჯო (Laudakia caucasica), ქვეწარმავალი ჯოჯოსებრთა ოჯახისა. მისი სხეულის სიგრძე 15 სმ აღწევს. მასა – 170 გ. იკვებება მწერებითა და ფეხსახსრიანებით, მცენარეული საკვებით. გვხვდება კლდოვან და ფლატოვან ლანდშაფტებში, იშვიათად – ქვებით მოფენილ ვაკე ადგილებში. იმალება ქვების ქვეშ, ნაპრალებსა და სოროებში. გვხვდება სომხეთში, აზერბაიჯანში, რუსეთში, თურქეთში და სხვ. ქვეყნებში, აგრეთვე საქართველოს აღმ. და სამხრ. ნაწილებში, ივრის ზეგანზე, ქართლში, ბორჯომის მუნიციპალიტეტში, მესხეთში.

ა. ბუხნიკაშვილი